

**"აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის  
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს  
მიზნობრივი პროგრამა"**

2013 წლისათვის  
ზომის ერთეული ლარი

**1 პროგრამის (ქვეპროგრამის) სახელწოდება:**

მოსახლეობისათვის განსაკუთრებულ შემთხვევებში სამედიცინო დახმარების კომპონენტი

**2 პროგრამის (ქვეპროგრამის) დაწყებისა და დამთავრების თარიღი:**

„1 იანვარი“ 2013 წ.  
„31 დეკემბერი“ 2013 წ.

**3 პროგრამის (ქვეპროგრამის) მთლიანი ბიუჯეტი**

**850,000** (რვაას ორმოცდაათი ათასი) ლარი

**4 პროგრამის დაფინანსების წყაროები:**

ა) ძირითადი _ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტი	850,000	ლარი
ბ) დამატებითი	0	ლარი

**5 პროგრამის (ქვეპროგრამის) განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო



2	მოქალაქეთა განცხადებების განხილვა	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X
3	დაფინანსება	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X

## 9. პროგრამის ბიუჯეტი

### ა) პროგრამის (ქვეპროგრამის) დაფინანსება წლების მიხედვით

N	წყაროს დასახელება		2013 წელი	2014 წელი	2015 წელი	სულ
	ძირითადი	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტი	850,000			850,000
	დამატებითი					0
	სულ		850,000	0	0	850,000

### ბ) პროგრამის (ქვეპროგრამის) ხარჯები ღონისძიებათა მიხედვით

N	პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიების დასახელება (დეტალურად გაშიფრული)	ერთეულის დასახელება	სამუშაო რაოდენობა	ერთეულის სამუშაო ფასი	სულ ღონისძიების ხარჯი (ლარი)
2013 წელი					
I	საქონელი და მომსახურება				
სულ საქონელი და მომსახურება					0
II	სოციალური უზრუნველყოფა				
1	სამედიცინო მომსახურების დაფინანსება	პაციენტი	680	1,250.00	850,000
სულ სოციალური უზრუნველყოფა					850,000
III	არაფინანსური აქტივები				
სულ არაფინანსური აქტივები					0
სულ ჯამი					850,000

**10. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი სახელმწიფო შესყიდვები:**

N	შესყიდვის ობიექტის დასახელება და მოკლე აღწერა	შესყიდვის განხორციელების ვადები	შესყიდვის განხორციელების ფორმა	შესყიდვისათვის დაგეგმილი თანხა (ლარი)	შენიშვნა
1	მოსახლეობისათვის განსაკუთრებულ შემთხვევებში სამედიცინო დახმარების კომპონენტი	I-IV კვარტალი	შესყიდვა განხორციელდება სამედიცინო ვაუჩერის საშუალებით	850,000	

**დამატებითი ინფორმაცია:**

ა) დამტკიცებული ხარჯების კვარტალური განაწილება

კომპონენტით გათვალისწინებული ხარჯების კვარტალებისა და თვეების მიხედვით განაწილება წარედგინება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს კომპონენტის დამტკიცების შემდეგ

ბ) მატერიალური რესურსის გაცემის სქემა:

მოსახლეობისათვის განსაკუთრებულ შემთხვევებში სამედიცინო დახმარების კომპონენტით მკურნალობის ორგანიზაცია და დაფინანსება გათვალისწინებულია მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ზევით. კომპონენტით გათვალისწინებული მომსახურება განხორციელდება სამედიცინო ვაუჩერის საშუალებით. ვაუჩერის ფორმას, გაცემისა და გამოყენების წესს, კომპონენტის განხორციელებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებებს განსაზღვრავს და ამტკიცებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

ვაუჩერით დასაფინანსებელი თანხა განისაზღვრება წარმოდგენილი ანგარიშგაქტურის საფუძველზე. მოწოდებული მომსახურების დაფინანსების საკითხი რეგულირდება ხელშეკრულების პირობებით.

„მიწოდებელი“ პროგრამას ახორციელებს „განსაკუთრებულ შემთხვევებში მოსახლეობის სამედიცინო დახმარების კომპონენტის ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების შესრულების, აღრიცხვის, ანგარიშგებისა და ანაზღაურების წესის“ შესაბამისად, რომელსაც ამტკიცებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი. გადაწყვეტილებას მოქალაქის მკურნალობის დაფინანსების შესახებ ღებულობს შესაბამისი კომისია, რომლის შემადგენლობა განისაზღვრება მინისტრის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით. მკურნალობის დაფინანსების (ვაუჩერის გაცემის) საკითხი ყველა შემთხვევაში წყდება კომისიურად.

გ) მოსარგებლეთა შერჩევის წესი:

კომპონენტით გათვალისწინებული მომსახურებით ისარგებლებენ:

-მოქალაქეები, რომლებიც რეგისტრირებული არიან აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში 2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და ვაუჩერის გაცემის მომენტში;  
-პაციენტები სტიქიური უბედურებებით, კატასტროფების შედეგად გამოწვეული დაზიანებებით და სოციალურად დაუცველი პაციენტები(200 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულა), რომლებიც საჭიროებენ სამედიცინო დახმარებას და პაციენტები, რომლებიც ამ დროისთვის არ არიან რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში, არა აქვთ მინიჭებული სარეიტინგო ქულა, მაგრამ მათი მატერიალური მდგომარეობა არ იძლევა საშუალებას დააფინანსოს აუცილებელი მკურნალობა.

კომპონენტით პირველი რიგის პრიორიტეტი ენიჭებათ სტიქიური უბედურებების, კატასტროფების დროს დაზიანებულებს, 18 წლამდე ასაკის ბავშვებს, მოქალაქეებს, რომელთა ოჯახებს „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ მინიჭებული აქვთ 200 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულა.

– კომპონენტის მაღალი რესურსტევადობის გამო გეგმიური მკურნალობის დაფინანსებისას გამოყენებული იქნება რიგითობისა და მოცდის პრინციპი.  
– კომპონენტით განხორციელდება პაციენტების მკურნალობასთან დაკავშირებული იმ ფინანსური რისკების მართვა, რომელიც ვერ იფარება მოქმედი სახელმწიფო პროგრამებით.

ვაუჩერის გაცემის საფუძველს წარმოადგენს:

1. განცხადება;

2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი ან სხვა დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიკაცია. 3. კომპონენტის მოსარგებლის დამადასტურებელი საბუთი: ცნობა „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ 200 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულის შესახებ, ხოლო 200 000 -ის ჩათვლით სარეიტინგო ქულების არარსებობის შემთხვევაში შუამდგომლობა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებიდან მოქალაქის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის აღწერით.

4. ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ - ფორმა №IV-100/ა;

5. სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ანგარიშ-ფაქტურა.

კომპონენტის ფარგლებში მკურნალობა დაფინანსდება ფაქტიური ხარჯით შემდეგი პროპორციებით:

მკურნალობის ღირებულება \_ 500 ლარამდე და 500 ლარის ჩათვლით \_ 100%-ით;

მკურნალობის ღირებულება \_ 501 ლარიდან \_ 1000 ლარის ჩათვლით \_ 90%-ით;

მკურნალობის ღირებულება \_ 1001 ლარიდან \_ 2000 ლარის ჩათვლით \_ 80%-ით;

მკურნალობის ღირებულება \_ 2001 ლარიდან \_ 3000 ლარის ჩათვლით \_ 75%-ით;

მკურნალობის ღირებულება \_ 3001 ლარი და მეტი \_ 70%-ით, მაგრამ არაუმეტეს 5000 ლარისა.

აჭარის რეგიონში არსებული უმწეოთა თავმესაფარის კონტიგენტის და უსახლკაროების მკურნალობა დაფინანსდება სრული მოცულობით თანაგადახდის გარეშე ზღვრული ტარიფით არაუმეტეს 3000 ლარის. (გარდა ფსიქოაქტიური ნივთიერებების მიღებით გამოწვეული ფსიქიკური და ქცევითი აშლილობებისა, რომლის დროსაც გამოყენებული იქნება კომპონენტით გათვალისწინებული დაფინანსების მეთოდოლოგია).

გამონაკლისები: – კომპონენტის მოცულობით არ დაფინანსდება ესთეტიკური, კოსმეტიკური ქირურგიული მკურნალობა და საზღვარგარეთ მკურნალობა. მკურნალობის დაფინანსების შესახებ პაციენტის წარმომადგენელმა სამინისტროს უნდა მიმართოს პაციენტის მკურნალობის დაწყებამდე ან მკურნალობის პროცესში (სტაციონარიდან გაწერამდე). კომისია გადაწყვეტილებას პაციენტის დაფინანსების შესახებ ღებულობს მომართვიდან პირველ დაგეგმილ სხომაზე.

კომისია გადაწყვეტილებას პაციენტის დაფინანსების შესახებ ღებულობს მომართვიდან პირველ დაგეგმილ სხდომაზე.

– თუკი გარკვეული ნოზოლოგიების მკურნალობა გათვალისწინებულია „გეგმიური ჰოსპიტალური მომსახურების კომპონენტით,“ მაგრამ პაციენტი არ წარმოადგენს კომპონენტის ბენეფიციარს, მაშინ მისი მკურნალობა მოსახლეობისათვის განსაკუთრებულ შემთხვევებში სამედიცინო დახმარების კომპონენტის ფარგლებში დაფინანსება არაუმეტეს „გეგმიური ჰოსპიტალური მომსახურების კომპონენტით“ გათვალისწინებული ტარიფებისა.

ს წ ო რ ი ა:

